

ქართული წყნობა


38783

გთხოვთ გთხოვთ გთხოვთ  
ძვირად ეს წიგნი  
კანონიერად ან  
ქართული მკვლევარ  
რთა მთავარი



12 წელიწადი  
გადასულია

1877 წ.  
თბილისი



ეცნო/კრათიული განსხვავა ძველთა და ახალთა კაზა-  
დოკიის ან ჭანეთის ძველდროთა მოსახლეთა.

Handwritten notes on the right margin, including the word 'განსხვავება' (distinction) written vertically.

საქართველოს ერი, ენისა და ლაშარაკის მიხედვით, განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე საათაბაგოსი, და მურქესა: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კაზადოკიისა.

ძველი კაზადოკია მდებარეობდა მცირის აზიის შუაგულში და იყო მოსამზღვრე ჩრდილოეთით შავიზღვისა ღიბის მდინარის შესართავივადამ, ვიდრე ქალაქადმდე რიზა; სამხრეთით კილიკიის მთებისა (აწ ბუღლარ და ალადაღი); აღმოსავლეთით კოლხიდისა (აწ ოსმალეთის საქართველო), ამის შემდგომ ადგილებისა და საღვთა, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არცა საქართველოს ნათესავთა, არცა სომეხთა, (1) და ამით უკან ეფრატის მდინარისა და მცირე სომხეთისა; დასავლეთით ჭაღიზის ან

Handwritten red notes: *ქართული ენისა და ლაშარაკის მიხედვით განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე საათაბაგოსი, და მურქესა.*

(1) სვგაბონი, წიგნი 12. §. 1. ეს ადგილი ამის ბაზიანი და აზრდუმის შესაბამისია.

აღასონის მდინარისა, რომელიც განჭყოფდა კავადოკიასა  
მხარეთაგან ჰაფლაგონიისა, გალატისა, ფრიგიისა და ლი-  
კიანისა (1).

ღრუსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. სუთის საუკუნის  
წინათ ქრისტეს შობისა კავადოკია შეადგენდა ორს  
საერისთოსა ან სატრაპიასა (2). პირველი საერისთო იყო  
კავადოკია ხმელეთისა, მეორე კავადოკია შავის ზღვის  
ნაპირისა; ორივე საერისთოანი განისაზღვრებოდნენ სტი-  
დიის მთებითა (აწ ჭანეთის მთები). საზოგადოდ სივრცე  
კავადოკიისა ფრიგიიდანამდე ვიდრე ეფრატის მდინარემდე  
იყო 1800 სტადიონი (3) და სივრცე შავის ზღვიდანამდე ვიდრე  
გილიკის მთებამდე 3,000 (4).

I. კავადოკია ხმელეთისა იყო უწყლო ადგილი,  
ცხელი, მოუსაკვლიანი და უნაყოფო. სამზღვრის  
ნაპირებსა მოუდიოდნენ მდინარენი ხალისისა და ეფრატისა

(1) სტრაბონი წიგნი XII, § 1; პლინი წიგნი VI,  
თავი 19.

(2) ვ. ლეროდოტე. წიგნი III, § 90, 94.

(3) სტადიონი 569 ფუტად, ფუტი არის ერთი საუკუნის  
მეშვიდედი ნაწილი.

(4) სტრაბ. წ. 12, §. 4.

და ოწნი სსვა მდინარენი ჭრწყამდნენ მტრიტეს სამსრეთის  
საწილსა, რომელ აწიან მდინარე პირამისა (აწ ჯეიხუნი);  
ჭქონდა წიადი ღრმა და ჩავით საკლედი, მდინარე სა-  
რისისა (აწ სარანსუ). ამათ გარდა ჭქონდა  
რამთონიძე წყაროები, რომელნიც ერთვიდენ მარჩლით  
სავსეთა ტბათა. ამ მდინარებსა და წყაროებს სათავე ჭქონ-  
დათ მთებში, მთები სტიდიისა მოსტვიდენ ჩრდილოეთის  
მხარესა და ტავრისა სამსრეთის ადგილებსა.

ხმელეთი-გაზადოკია სტრახბონის დრეს განიუოფე-  
ბრდა ათ სამოუწავოდ: ხუთნი მდებარებდნენ ჩრდილოე-  
თის კერძოდ, ე. ი., ლავინიასენი (აწ არაბკირი), სარ-  
გარსენი (აწ სივა), სარავკენი (აწ ვიშერი), შამანენი და  
მორჩიენი (აწ უსგეთი); და დანარჩენნი ხუთნი სამსრე-  
თის კერძოდ: მელიტონა (აწ მალატა ეფრატის პირზედ)  
კატარნი (აწ ალადედი), კილიკია (აწინდელნი თემნი: იჭი-  
ლი, ტარსუ, ადანი და მარაში), თიანეთი (აწცა თიანეთი)  
და გორსაურეთი (აწ აკსერაია). მელიტონე იყო ნაყო-  
ფიერი ადგილი, რადგანაც ეფრატის მდინარე ჭრწყავდა,  
სავსე ხესილითა და ყურძნითა. აქაური ღვინო ჩინებული იყო  
მთელსა საბერძნეთში. ამ თემის ქალაქი მელიტონე იყო  
აშენებული, რომგარც მოუთხრობს ძველი თქმულობა.

ასურეთის მეფის სემირამიდისაგან. ვატონია იყო მთებთა შორის დახლოები და ვრცელი ადგილი, მთებში იზრებოდნენ ვიწრო ხეობანი. ერთს ამისთანა ვიწრო ხეობაში მდებარეობდა ქალაქი კომანა, სადაცა აშენებული იყო ბელონის ტაძარი, რომელსაც აქაურნი მოსახლენი უწოდებდნენ მად. ქალაქი იყო ძალიან ვრცელი და მოშენებული. მუნებურნი მოსახლენი განიყოფებოდნენ ქურუმებად და მონებად; მონები ემსახურებოდნენ ტაძარსა, რომლისა ქურუმთ-მთავრად ნიადგ იყო თვით მეფე გაზადოკიისა. თიანეთი იყო მთიანი ადგილი, სადაც ვიწრო მთებში გზა გავიდოდა კილიკიად. თიანი (აწ ნიგდე) იყო დედა ქალაქი ამ თემობისა, ძალიან მაგარი, მოზღუდვილი ქვითგირის ზღუდითა და დაფუძნებული ქვაყრილზედ. ამ ქალაქის ახლოს, მთის თხემზედ იყო აშენებული ტაძარი სახელსა ზედა დიანა (ღმერთა ჰერამისა). დედა ქალაქი ხმელეთის გაზადოკიისა იყო მანავა (აწ კესარია) აღშენებული არგოსის (აწ ერჯიშის) მთის კალთაზედ და მდებარე მზის გულზედ, უწყლო მოუზღუდავი და უჩაყოფო. (1).

---

(1) სტრაბონი წიგნი 12. § 3.

მკვიდრი მოსახლე ხალხი კავადოკიაში იყო უვიცო და კელურნი, განუსხნელი გონებითა და უმეტარი სულკურნებისა, არ ჰქონდათ არცა წიგნი, არცა წერილი, თუმცა ჰსცხოვრებდნენ საშუალო განათლებულთა ერთა შორის, ერთის მხრით ბერძენთა და მეორეს მხრით ასურელთა. წინაპირველად ჰმონებდნენ ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სპარსთა. სპარსთა მეფემან დარიაზ, ხუთასის წლის წინათ ქრისტეს შობისა, დაიპყრა კავადოკია და განჰყო ორ საერისთოდ ან სასპასპეტოდ (სატრაპია ბერძენთა). ზირველი სასპასპეტო იყო ხმელეთისა, ან დიდი კავადოკია და მეორე კავადოკია ზღვის ნაპირისა, ან მცირე. რომელსაც სპარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კავადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არარატ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა, რომელიც განიძო სამეფოთგან 322 წელსა ქრისტეს უწინ. ამისმა შვილმან არარატ III, სომეხთა მეფის შეწევნითა, დაიპყრა სამკვიდრო თვისი და შერთო თავის შვილსა. არარატ IV ქალი თეოს ანტიოხიის მეფისა; არარატ VIII ჰსცხოვრებდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატსა VII, რომელმანც მოჰკლა იგი და დაიპყრა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერიმ

მოსხრ კაპადოკიაში მეფობა 17 წელსა შემდგომ ქრისტეს შობისა (1);

შემდგომ განუოფისა წოდის საბრძანებელისა ორად, კაპადოკია დაწინა მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუგუნეში ქრისტეს შობიდან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი, და მესამე და მეოთხე საუგუნეში აქ არ იზოგებოდა არცა ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო ორმოცდა ათი საეპისკოპოსო საუდარი ან ეპარხია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ტიბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტინესა, კომანისა და სსვანი (2). წინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატერგი, წმინდა კასილი კესარიელი; წმინდა მაკრინე და მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სსვანი მრავალნი სახელ-განთქმულნი და წინებულნი შწერალნი.

თუმცა ეპარხიები მრავალი იყო ხმელეთის კაპადოკიაში, გარნა ხალხს არა ჰქონდა წერილი, არც ნათარგმნი

---

(1) ვალიანის ისტორია კაპადოკიისა, სენმაკსტენის სტატიები საზოგადო ისტორიულს ლექსიკონში ფრანციუს ენაზედ, გამოც. 1811.—1852; სტრაბონი წიგნი 12, §. 3.

(2) ცექსიეს აღწერა იესამალოსი ან მცირე აზიისა ფრანც.



სამღვთო წიგნები, თვით სამღვთო მსახურებს აღსარულ-  
ლებდნენ ეკლესიებში ბერძნულ ენაზედ, მღვდელნიცა  
თითქმის უმეტაწნი იყვნენ ხალხის უნისა. ამ გვარი  
ხალხის დაბრძოლა და უვიცობა ქრისტიანობის სწავლისა  
იყო მიზეზი, რომელ 1192 წელსა, ოდესც ოსმალთა  
დაიპყრეს მცირე აზია და დაარსეს იკონიის ქალაქს მეფობა  
ხალხმა ადვილად და ძალის დაუტანებლად მიიღო მანქმ-  
დის საწმენოება და დაივიწყა თავისი ენა.

ორსავე კავადოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ  
ერთვის ნათესავისა და ჭაპარაკობდნენ ერთსა და იგივე  
ენაზედ. დასამტკიცებლად ამისა გვაქვს ჩვენ პირველი  
უწყება სტრაბონისა (1), რომელიც მეთორმეტეს წიგნის  
დასაბამში დაწმენებით ამბობს: „სასელი კავადოკიელებ  
ეკუთვნის სრულებით ერის ხალხსა, რომელნიც არიან  
ერთ ნათესავნი და ჭაპარაკობენ ერთს ენაზედ და სასლო-  
ბენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამსრეთით მთა  
კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა,  
და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლავარაკენი

---

(1) სტრაბონი წიგნი 12. § 1. გამოცემული უბრუნულად  
1814. აგრეთვე ტარდიეს ნათარგმნი გამოცემული პარ. ეში  
1873 წელს.

უცხრს ენაზედ; ჩრდილოეთით პონტოს ზღვა, შესართავადმდე ჭალიზის მდინარისა, დასავლეთით — ზაფლავონია, გალატია, ფრიგია და ლიკონია.

მეორე წესტრახონი კიდევ განიმეორებს წინათ ქმულსა. ამ გვარს ღივს შესანიშნველს ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით, თუ გვეცოდნოდა, რომ ამას სტრახონი ამბობს გაგონებით — ვითარცა მრავალნი უწუებანი ღეროდოტისა. სტრახონს თვითონ გამოვჭყუვართ ამ გვარს ეჭვისაგან, როდესაც მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კაპადოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას მდებარესა ირისეს მდინარეზედ პონტოში, დედა ჭუვანდა ნათესავით ჭანი და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც პატივცემული და მიჩნეული იყო დიდის მიტრიდატისაგან პონტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრახონი გაგონებით არ იცნობდა, და როგორც გვაუწყებს, თითონ მოველო მთელი კაპადოკია და არ გაგონებით აღეწერა არამედ რაც თავისის თვალით ენახა და გამოეძია. რასაკვირველია უწყება ამისთანა მწერლისა არ ეჩნება ტყუილი და დაუჯერებელი; ამის გარდა ზღინიცა გვარწმუნებს, რომელიც კაპადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა (1).

(1) წიგნი 6, თავი 3

მეორე, მრავალი სასულები ადგილთა, მთათა, ქალაქთა  
 მდინარეთა, მდებარეთა ხმელეთის კაზადღაკიაში, როგორც  
 ჭსხანს კიზარტის ქარტისაგან, მცირის აზიისა, აწტაანთან  
 ქართულნი მაგალითად: თეძი თიანეთისა და ქალაქი თიან-  
 ნი (აწ ნილდე) ქართულად ჭნიშნავს მთებინს ადგილს  
 და თვით საქართველოშიაც აწის თეძი თიანეთისა (1);  
 ჩხორუმი, დაბა მდებარე მახლობელ ამასიის ქა-  
 ლაქისა; თავია, დაბა მდებარე ჩრდილოეთით კიშქ-  
 რის ქალაქისა; შუყური, დაბა მდებარე სამხრეთით  
 კიშქრის ქალაქისა; თამარძე, დაბა მახლობელ ქალაქისა  
 კესარიისა; შუყური, დაბა მახლობელ კესარიის ქალაქისა  
 ურგუბა (ორგუბე უნდა), მახლობელ აგრეთვე კესარიის  
 ქალაქისა; სარმურ-სახლი, აგრეთვე დაბა მუნვე; ჭიჭაკის  
 მთა მახლობელ კიშქრის ქალაქისა; ერჯიში მთა, მახ-  
 ლობელ კესარიის; ბატოს მთა კილიკიაში; თეჯირის მთა,  
 მახლობელი სივას ქალაქისა; აცმურის მთა მახ-  
 ლობელი მილეტინის ქალაქისა; გაცურის მთა, შუ-  
 რაშინის ქალაქის დაბლა; ჭილობის მთა; ჩხატალი,  
 ორთაყვის მთა, მახლობელ ნილდის ქალაქისა;  
 ფანხალი, მახლობელ საროს მდინარისა; დედა მთა,  
 მახლობელ საროს მდინარისა. ხაჯი ხალფა, დეოდრფის

(1) სტრაბონი წიგნი 12 § 9; ტაქსიგს აღწერა მცო-  
 ლეს აზიის, გვ. 567. 2)

მწერალი, მუსულმანი მოისსენებს რამითონთაჲ ადგილთა, რომელიც ქართულია, მაგალ. ქუთაის, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა, ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-შანი, მენდერი (მდინარე), ხანა, ენგური, კარბაზარი, და სხვანი. <sup>1)</sup>

ამათ გარდა მრავალნი ადგილები, მდინარეები და ქალაქნი შათლავონიაში ან სხვათა ადგილთა იწოდებიან აქამოდე ქართულის სახელებითა მაგალ. ენგური, ერთი ტოტი შავარის მდინარისა, ქალაქი ენგური (ძველი უნგური); მენდერხაი, ბერძნულად მენდერი ე. ი. მდინარე, ქალაქი ქიზიკი, მდებარე მარმარილოს ზღვის პირსკდა, თემნუს ე. ი. თემი მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე-ზნე, ჩვეულობა, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართველობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჭქონდათ კაზადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულობისა, ყოფა-ქცევისა და სხ. ძველთა ქართველთა <sup>(2)</sup>. მეოთხე,--რადგანაც კაზადოკიის ხალხსა ჭქონ-

---

(1) ნახე გიგინ ს. მაჰტეის დეოლოგიული აღწერა მცხეთის აზიისა, გვერდი 188 და შემდგომნი.

(2) სტრაბონი წიგნი XV, გვერდი 733.

და მონათესაობა საქართველოს საღვთისმად, ამითი განი-  
მარტობის სურვილი განადგობის სურვილთა მამათა დამუყ-  
არება საქართველოში ქრისტიანობის საწმენდებისა. მო-  
სულნი ამ აზრით იოანე ზედაძნელი თორმეტის მოწა-  
ფეებითურთ, რომელთაც სასულები არიან: დავით გარეს-  
ჯელი, სტეფანე სირსული, იოსებ აფაქერდელი, ზენონ  
იუდათოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილგნელი,  
თათე სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამ-  
თაგრელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს  
ბრეთელი და ილია დიაკონი ან იუგენ მესობოტამიელი,  
არამელ განადგობიელი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი  
განადგობიელთა წაგსამდნენ სირიელად, ან მესობოტამიე-  
ლად (1). თუ ქართული ენა არ ჰქონდნოდათ ამ წმინ-  
დანებს საქართველოში ვერ გაბედავდნენ მოსვლასა და  
ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ რომ  
წმინდა გიორგი იყო განადგობიელი და ამის გამო მთელს  
საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორ-  
გის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო  
აგრეთვე განადგობიელი და მცოდნე ქართულის ენისა.

(1) ტიქსი, მცოდნე ანთა გვერდ, 500.

უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს საწმენოებისა და მოქცევა ქართველთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კახადოგიაში იყო ძალიან გავრცელებული რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკაფული ქვაბები და სადგომი სასლები, როგორც საქართველოში უფლის-ცისე და სხვანი. ამ ქვაბებში ჭსცხოვრებდნენ მუუდაბნოეზნი, რომელთაგანცა ჩინებუნლი იუვრენ სვიმეონ დიდი მესვეტე (390—460); სვიმეონ მცირე აგრეთვე მესვეტე (521—592). ეს სვიმეონ მცირე იყო მიზეზია საქართველოში გამოგზავნისა წმინდისა იოანე ზედაძნელისა მოწათეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელებს და დაამყარეს შერეული ცეცსლ-მსახურთაგან ქრისტეს საწმენოება საქართველოში, რადგანაც თვით იუვრენ ქართველნი. ამათ შემოიღეს წელთ აღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწეება. იანვრიდგან, რომელიც დაწმომილია აქამომდე.

II. კახადოგია შავის ზღვის პირისა განიყოებოდა რთ თემად: პირველი თემა შეადგენდა პონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. პონტოს სამეფო იყო ადგილი წელიანი, ტყინი, მდიდარი ნყოფებითა და მადნებითა. დასავლეთის

სამშლჭრის პირზედ მოუდინდა მდინარე ჭალიისა ან  
აღაზონისა (აწ გიზილ — ერმაკი), ძალიან ვრცელი და-  
დიდი, რომელსაც სათავე ჰქონდა მასლობელ ნიკოპო-  
ლის ქალაქისა, გემის მთებში; ჰრწყავდა სრულიად კავა-  
დოკიასა და ერთვიდა შავს ზღვაში მასლობელ ბათი-  
რის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანაშნავად, მის  
თვის რომ ძველს დროში განჭყოფდა მცირის აზიის  
მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაპირთ ეჭირს  
ხალხთა, რომელნიც ნათესავობით ეკუთნებოდნენ ბერძენ-  
თა, გარნა მარჯვენა ერთთა, რომელნიც ნათესავობით იყ-  
ნენ აზიის ხალხნი ე. ი. ჭანულები (1). სხვანი მდინარენი  
ზღვის კავადოკიისა არიან: ირისე ან ირიზე (აწ ეშილე-  
მაკი), რომელსაც ერთსა \*ტოტსა სახელად ჰქვიან ტეძამი  
და მეორესა ლიგუს (მგელი); გემრიელი წყალი (ქარტა-  
ზედ გარყვნილად ჰწერია გემრიელი ჩაი); თერმადონი  
(აწ თერმეს წყალი); ფსინრონი (აწ კოლოპოტამო), რომ-  
ელიც ერთვის ზღვასა მასლობელ ტიზა ქალაქისა. სამ-  
ხრეთი მხარე პონტოსი იყო მთებიანი და ხეკებიანი: ხალ-  
ხარის მთები, რომელნიც მდებარებენ პონტოსსა და საქარ-

(1) გუგუბ სენმარტენი. მცირე აზია II ტომი, 386 გვ.

თველს სამსღვარსედ, აწ გურჯი ბოლახი ან საქართ-  
ველს ველი. ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაჭილობევი-  
სა, ან, ძველთა მწერალთა, სციდის მთები; ერთი ნაწილი  
ნაჭილობევის მთებისა იწოდებიან გუაურად და გომიშად  
(კაშხეჩოვანად). გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მად-  
ნებითა. ზღვის პირსედ მდებარებდნენ მრავალნი ქალაქნი,  
მდიდარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ  
სამსუნი); თეპისცირა (აწ თერმი); უნიჲ (აწ ორის ქალაქი);  
გოტიორა (აწ ორდუ); ფარსაკი (აწ კერასუნი); ტრახე-  
ზონი, დიზა (აწ სურბქანა); ოფიზი, რიზე, ატენი. სმელ-  
სედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარესედ, სამშობლო  
ადგილი სტრამონისა; გასიურა, ძველი დედა-ქალაქი  
ზღვის კავადოკიისა, მდებარებდა თერმადონის მდინარის  
ნაპირსედ; ელმანა, ზელა, სეტალა (ხათალი) და  
სსვანი.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ პონტოს  
სამეფოს ზღვის ნაპირსედ, მილეტის ქალაქის მოსას-  
ლეთა დაათუმეს სავაჭრო ქალაქები, რომელთაგანაც  
უპირველესი იყო სინოპი, ამიზუსი, გოტიორა, ტრახე-  
ზუნტი და ჭქონდათ აქ ზღუბ-მიტრეა და სარგოინი ვაჭ-  
რობა მეზობელთა ხალხთათანა. სსენებულთ ქალაქებსა ჭქონ-  
დათ თავიანთი მმართველობა და არ ემონებოდენ სპარს-  
თა მეფეთა. მაშინ როდესაც პონტოსსა და კოლხიდის



მოსასლენი იყვნენ დამონებული სპარსთაგან, შეადგენდნენ  
ერს სსსპსპეტოს (სატრაპიას) XVIII და XIX <sup>(1)</sup> და  
სპარსთა მეფისა ქსევექსის დროს მიიღებდნენ მონაწილე-  
ობას ბრძოლაში პირის პირ ბერძენთა და განიყოფებოდ-  
ნენ ოთხ გუნდად: პირველსა გუნდსა, მთავრობასა ქვეშე  
არქობაქსანისა დარქოს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერნი  
მესხნი და ტიბარქენნი; მეორესა, — მთავრობასა ქვეშე არტა-  
გისა, — მოსენაკნი; მესამესა — მთავრობასა ქვეშე ფარანდა-  
ტისა, მარნი და კოლხელნი და მეოთხესა, — მთავრობასა  
ქვეშე მისისტისა, — ლაროდანელნი და ისპირელნი. <sup>(2)</sup>  
ამითი ჭინს რომ ზონტოს სამეფოში და კოლხიდაში  
იყვნენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონტის დროს  
რომიელიმე მათთაგანი იწოდებოდნენ მეფელა ვითარ-  
ცა მთავარი მოსინაკთა. ვაღიანი თავის ზონტოს ისტორია-  
ში მოუთხრობს, რომელ პირველი მეფე ზონტოსა იყო  
არტაბასი, დადგინებული დარქოს სპარსთა მეფისაგან  
ამისი შემკვიდრე 402 წლის ქრისტეს წინათ იხილება  
მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა  
სპარსთა მეფის არტაქსერქსისა, ამისი შვილი მიტრიდატი  
II სასელ წოდებულ აღმაშენებელად იყო თანა მედროვე  
აქექსანდრე მაკედონიელისა; მიტრიდატ II-ის შვილმა მიტ-

(1) ლეონდოვის ისტ. წიგნი 3, § 90.

(2) ლეონდოვის წიგნი 7 § 76, 77, 78, 80.

ჩიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახსკედ, რომელიც იყო  
 მაკედონიის მეფე 384 წელსა და დასდო გამარჯვების წი-  
 ლიწადი დასახამდ წელთა აღრიცხვისა ანუ ერთად (1), რომ-  
 ელიც იყო მიღებული როგორც ბოსფორის სამეფოში  
 ისე კოლხიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწყებიან ჩვენი  
 ქრონიკებიცა, რადგანაც იმ დროს ძთელი კოლ-  
 ხიდა დამონებული იყო პონტოს მეფეთაგან და ჭკონ-  
 დათ ერთმანეთში დიდი ერთობა. აქამდე სწავ-  
 ლულთა და სიძველის გამოძეიებლთა არ იცო-  
 დნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწყებოდა ერთ ან  
 დასახამა წელთა აღრიცხვისა პონტოს სამეფოში.  
 როგი ჭცდება 8, როგი 10, როგი 12 წლითა.  
 მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღრიცხვა-  
 მის აღმოჩნდა, რომ დასახამი ჩვენისა და პონტოს ერთი  
 არ.ს 284 წელი ქრისტეს წინათ. ვინ არ იცის რომ  
 ჩვენს ქრონიკონსა როგორც რომ ეკლესიის კისკლოსსა  
 აქვს საჭევბა 532 წელიწადი. ეს რიცხვი შესდგება  
 განმარჯვებისაგან 28x19. რიცხვი 28 შეადგენს  
 წელთა მისი მოქცევისათა და 19—მთავარისათა  
 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღეთა  
 მთავარის განახლება, დიდ მარხვის აღების დღე, პა-  
 სეჟის დღე და შემდგომი ცვლადნი დღესასწაუ-

(1) ნახეთ საზოგადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომად  
 გამოცემული პარიჟში 1811—1852) სტატიი სენ-  
 მარტენისა მეტროპოლიტ III.

ლნი, კვირაცხ აკდობა, ამაღლება და სხვანი ანგა-  
რ. შნი თვითთულის წლისა იმავე შვიდეულს დღეს,  
თვისა რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც 532  
წლის წინათ იყო. მაგალითად ჩვენი ხუთასეული ქრო-  
ნიკონი დასრულდა 1844 წელს, ასე რომ 1845 წლი-  
დამ იწყო ასაღმახ ხუთასეულმახ ქრონიკონმახ. 1844  
წელს მასქა იყო აპრილის 15. ამწლიდამ რომ გამო-  
ხვიდეთ 532 წელი, დაჩქება 1312 წელიწადი, ამ წე-  
ლიწადს მასქა იყო აგრიტოვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ახ  
დიდი ინდიკტიონი შემოიღო მღვდელმონაზონმა დი-  
ონისიმ 516 წელს ქრისტეს შემდგომ მოსაზრებულად  
თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება მას-  
ქა. ამ უამადმდ, ე. ი. 516 წლიდან ამ გვარი აღრიც-  
ხვა არსად იყო და რა საკვირველია არც საქართველოში  
იქნებოდა. საქართველოში, როგორცა ჭხანს, აღრიც-  
ხვა უწყვიათ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ.  
მაშასადამე ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780  
და ასადი დამდგარა 781 წელს. 780 წელს რომ  
დავროთთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 1064 წელს  
ახ ორს სრულს ქრონიკონსა. თუმცა 781 წელს  
შემოუღიათ ქრონიკონი, გაჩნა რიცხვი წელთა  
დასაბამისა დაუღვიათ პოხტოს ერა ახუ დასაბამი  
წელთა აღრიცხვისა, რომელსაც, როგორცა ჭხანს  
შემო გამორიცხვისაგან, ჭქონია დასაბამი 284  
წელსა ქრისტეს წინათ. ისტორიაც ეთახსმება ამას.  
1844 შესრულდა ხუთასიანი ქრონიკონი და 1845  
იწყო ასაღმახ ქრონიკონმახ. ამ 1844 რომ დაუ-  
მატოთ 284 წელი შეიქმება 2128 წელ. 2128

წელი რომ გაკვეთილ 532, დაშტება წყნობითი  
რიტსვი უნაკლულოდ 4; ეს ამას ნიშნავს რომ  
რთხვერ სუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844  
წელსა და 1845 წელსა იწყო მესრუთე სუთასეულმა  
ქრონიკონმა.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფანჩაგ ჰონტოს მე-  
ოქმან დაიბუნა სინოპი და სსვანი ქალაქები ჰონტოს  
ზღვის პირისა; ამ ქალაქების დაბურობითა ჰონტოს სა-  
მეფომ მოიპოვა დიდი ძალა და ძლიერება როგორც  
ხმელეთზედ ისე ზღვაში და შეძლება პირის პირ ბრძო-  
ლისა რომაელებთან, თუძცა მიტრიდატი VI ექმნა თანა შემწე  
რომაელთა ბრძოლათა პირის პირ დანიბაღისა და გარ-  
ჯისათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა,  
განა შეიღი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი  
მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელ-  
სა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII ალვიდა ტასტ-  
ზედ, უნდა თორმეტის წლისა, ბუნებით ახლავანი, ბრტე  
და შემძრთებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლე-  
ბასა, ამას გარდა სიუცმათვე შეითვისა საომარი ზნე და  
ჩვეულება, ჭქონდა საკვირველი მესსიერება, იცოდა 22  
ენა, გულში ჭქონდა თავის მამულის განდიდება და ამისა-  
თვის არა ჭრიდებდა არცა თავსა, არცა წაწმინებულთა  
და მოყვარეთა. წინაპირველად განიზრახა მოსილვა მო-  
სამზღვრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისთვის შეუდგა  
გზასა, რჩის მანდობლის გაცითა, სრულიად უცნაურად,

დაჭყო მოგზაურობაში ოთხიოდ წელიწადი, თვალთ განი-  
ხილა მდგომარეობა მცირის აზიისა. შინ რომ დაბრუნდა,  
მასშინვე მოაგროვა ძალი, შევიდა კალსიდაში, დაიპყრა  
აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხა-  
ზეთი და სრულად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ყირიმი.  
შემდგომად აღძრა შეფოთი კავადოკიაში, მოაკვლევინა მუ-  
ნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი ანთონატ  
VIII. ეს იყო მიწეში პირველის ბრძოლისა რომაელთათა.  
მიტრიდატმა მოიწოთ დიდი ძალი, როგორც სპელეთისა  
ისე ზღვისა, დაიმონია სრულად მცირე აზია და წინათ  
რომაელთა თრავია და ატესი. რა ესმა რომის რესპუბლიკას  
განმდობრება მიტრიდატისა. მასშინვე მოაგროვა დიდი  
ძალი, უჩინა მსედანთ მთავრად სილვას და გაისტუმრა  
დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სილვამ მასლობელ  
სუროსისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბუ-  
რძეთი და გადიტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონია  
იონია, ბიზია და ლიდია. უღონო ქმნილმან დიდმან მი-  
ტრიდატმან ითხოვა სავი და 85 წლის ქრისტეს წინათ  
შეეკრა პირაბითა რომის რესპუბლიკას. ამდროს მიტ-  
რიდატს განუდგნენ ბოსფორელნი; მიტრიდატმა იწყო  
მსადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორსს დასამონებლად,  
რომაელთა ჭკონეს რომელ მიტრიდატი ემსადება ბრძო-  
ლას განასლებსათვის მათხედ, ამისთვის უბძანეს მეტე-  
ნას უცებ მისვლა საომრად მიტრიდატსედ. მიტრიდატმა

არჯველ დამარცხსა შერენა 82 წელსა ქრისტეს წინათ და  
შეეკნა რომელთა ასაღის ზავითა. 79 წელსა გვალად  
დაიმონია ბასთორის სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავი-  
სი შვილი მხარა (ქართული სახელი). ხმელეთის კავა-  
დოკია გვალად იქმნა მიწეზი შესამის ომისა შორის მი-  
ტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. შირველს უამს მი-  
ტრიდატმა დაიმონია ზაფლავონია, ვიფინია და მოადგა  
ქალაქსა ქიზიუს, მღებარესა მარმარილოს ზღვის ნაპირს.  
ამ ქალაქის მახლობლად ლუკულმა, მხედართ მძევანმა  
რომაელთა, დამარცხსა პონტოს მეფე, რომელიც განივლტო  
სომხითს, იქაც დამარცხდა პომპეისაგან და დანარჩენის და-  
ღითა შეივლტო კოლხიდას, იქიდან გადვიდა ბასთორის-  
სა, ე. ი. ყირიმსა, სადაც მოიხება ჯარის მოკრეფა და  
განახლება ომისა რომელთა თანა. მისმა შვილმა შეიტყო  
ეს აზრი, მოიბირნა მხედართ მთავარი და წინააღუდგა  
მამას. მიტრიდატმა, რა ჭტნო შვილის დალატი, თავი მო-  
იწამლა და გადიცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გვამი  
მისი შვილმა გაუგზავნა პომპეის, რომელმან დიდის პა-  
ტრკით მიაბარა მიწას ტაძარსა სინოპის ქალაქში, სადაც  
ეყვებნ დამარცხენი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა რომის იმპერატორისა ნერონისა  
პონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და კიდრე 1204  
წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონებუს ქვეშე ვიზანტიის  
იმპერატორთა. ხსენებულს წელნიდან თამარ მეფის შე-

წიგნით ალექსი კომნენა დაიპყრა ტრაპეზუნის და იწოდდა იმპერატორად ტრაპეზუნისა; სიგლებში ტრაპეზუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან მშვერბულად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჭქმნეს სათავადო (1)

ბ. კოლხიდა მდებარებდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის პარსუდ; ასე რომ ძველ დროში მთელი პონტოს სამეფო იყო ცნობილი სასულესა ჭკეშ კოლხიდა (2), სტრახონის დროს კოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელნიც იწყებოდნენ ფსისტონის მდინარის (ან კოლოპატამო) შესართავიდან ზღვაში, ვიდრე აღდინის მდინარის შესართავამდე, სადაც მდებარებდა ჩინებული ზღვებიცემის ქალაქი დიოსკურია (ან იზგაური) (3). კოლხიდა გარემოცული იყო კავკასიის მთებითა (ქართულად ღადო), რომლისაც ერთი მომავალი სამხრეთისაკენ კალთა (ღიხის მთები) გაჭყოფს იმერეთსა

(1) უწყება ტრაპეზუნის იმპერიის დაარსებისა სტავროს აკადემიკის გუნივისა დაბეჭდილი უწყებათა შორის ს. ზ. ბ. სამეცნიერო აკადემიისა, 1855, 733.

(2) ქსენოფონი IV და V წიგნი.

(3) სტრახონის წიგნი XI თავი I; პლინი წიგნი VI; როინის აღწერა შავი ზღვის ნაპირებისა გამოცემული გოფმანისაგან ლათინურად, გვერდი 55.

და ქართლსა. ერთი კალთა ამ მთისა მიჳს მტკვრის პირამდინ და იცნობება ძველთაგან მოსხას მთად, ე. ი. სამცხის მთად ან აჭარისა (აწ სოღანდუხის მთები და კარგა-ბა-ზარი); მეორე კალთა მტკვრიდამ პირს შეუქცევს ზღვასა და იწოდებიან ფერსათის მთად, რომელიც გაჭეოფს იმერეთსა და გურჩიას სამცხისაგან; სხვა კალთა ამ მთებისა, რომელიც შეუდგებიან მტკვარსა, ისახელებოდნენ ძველთა მწერალთაგან კორჩკის მთად (აწ ცისე-ჯვარი); კორჩკის მთებს პონტოს მხარესკენ შეუდგებიან სციდიის მთები და მასუკან ნაჭილლობევი.

ამ მთების წიაღში ჭქონდათ მრავალთა მდინარეთა დასაბამი, რომელთაგან ღირსია შესანიშნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი რიონი), ჭქონდა სათავე, როგორც გვაუწყებს პლინი, მოსხის მთებში (1), სათაუდამ ვიდრე შორაპანამდინ იყო ნავით უვალდი, და შორაპანიდამ ზღვადმდე ნავით სავლელი. ამ მდინარესედა ნავით მიჭქონდათ და მოჭქონდათ საკატროები ვიდრე შორაპანადმე, შორაპანიდამ მტკვრადმდე სმელის გზით, და მასუკან მტკვრით ვასუბის ზღვადმდე, საიდამაც გაჭქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწე-

---

(1) პლინი წიგნი VI თავი 4. სტრაბონი XI § ე სტრაბონი ჭსწერს რომელ ფაზისს სათავე აქვსო სომხეთში. ზუსაბუთაა, როგორცა ვჭხედავთაწ ადგილების მდებარობასს



რისაგან ჭიხანს, მდინარეს უვირილას წაცხადენ რიონად და რიონსა უვირილას შესართავადმდე გლაუყად. ფაზისს შეუდიოდენ მდინარენი: დიპიუს (ცხენის წყალი), ტიანხ (ტესურა);

ბ. აბსარა პლინისა, აკამპსისი არიენისა და ბოას პროკოპისა (აწინდელი ჭოროხი). თუმიცა პროკოპიმ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის საგალი არის დაუჯერებელი და უგვანი. აი რას გვაუწყებს პროკოპი: „ბოას აქვს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქვს სამზღვარი ივერიისა, სადაც სრულდება კაკაზის მთა. ამ მდინარეს ერთგვან მრავალნი სხვა მდინარენი, დიდდება და მიიღებს ფაზის სახელსა; რასაკე მხარესა ჭსტხოვრებენ ლაზები და მღებარებს ქალაქი შოჩაპანი (1).“ ფაზის მდინარე მოუდიოდა ლაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი ნაპირი, როგორც ესლაცა ჭიხანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარეზედ არ იდო ქალაქი შოჩაპნისა; ეს რასაკვირველია არის ცთომილება გადაძწერისა და არა პროკოპისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორსავე მდინარესა, და მოუთხრობს რომ ლაზებმა მოიფიანეს სპარსთა მეფე ხოსრო სომხითით კერძო, განვლეს ბოასის მდინა-

(1) სტრუციონის მეცხიანე სალსთა ტ. 4 გვ. 45; პროკოპი სათარგმნი რუსულად გვ. 288. (წიგნი 2, თავი 29.)

რე, და რა მიხედვით უნდა შეტრეს ცისესა (აწ ქავთა ცი-  
ხე ქაბულეთში), ჭქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მა-  
შასადაძე ბოას და ფაზის მდინარე იყვნენ სხვა და  
სხვა. აგრეთვე მეორეს ადგილში პრეკოში ამტკიცებს  
რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა:  
„ამასობაში მუქმელომ გაიარა სამზღვარი ივერდისა (ე-  
ი. სურამი) და ჭქონდა ფაზის მდინარე მარჯვნივ მსა-  
რეს“. (1) დიად, ქართლიდამ რომ შესვიდე იმერეთში სუ-  
რამის გზით მისასვლელად შეტრეს ცისესა მარჯვნივ და-  
გრძება ყვირილა (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი  
ჭინან რომ პირველი ჩვენება, როგორც კვსთქვით, გადა-  
წერისაგან არის არეული, მისი შეცდომაა და არა  
პრეკოშისა, როგორც ამტკიცებენ ორნი უკანასკნელი  
ჩვენებანი. (2) პრეკოშის პირველმა უწყებამ შეიყვანა  
რომელნიმე სწავლულნი ცთომილებასი, მაგალ. პირველი  
დუბოა, რომელიც გვარწმუნებს რომ პრეკოშის ბოასი  
არის ხანის წყალი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ  
ეჩნება სადავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს  
მარჯვნივ მსარეს ეჩნებოდნენ მოსახლენი ივერდელნი, რო-  
გორც გვარწმუნებს პრეკოში, ანამედ ლაზები; მეორე

(1) პრეკოში წიგნი 2, თავი 30.

(2) არიენი თავის აღწერაში განასხვავებს ამ ორთა მდი-  
დარეთ, აგრეთვე პლინი და სხვანი ძველნი მწერნი.

უფ. ემინი (1), რომელიც გვიმტკიცებს, რომელ ფაზისა  
 არის ჭორბანი და არა რომანი და უდის სომხითის ადგი-  
 ლებს. აქ სომხითი არც უოფილა, რეგორცა ჭიანს მთკ-  
 ლის მწერლებისაგან; და არც აწ არის, ეს ადგილები ეჭი-  
 რათ და ეხლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ  
 მესხთა და ოსმალნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს,  
 ე. ი. სადაც ჭორბანი მრუდის, ეწოდებოდა კლარჯეთი და  
 კლარჯეთი მისეს, სორენაჯის ღელისათვის იყოს ივერისა  
 და არა სომხითი (2). ამხელ ამის დაბლა ვიდრე ვიტყვი  
 ერთს ორს სიტყვას, აქ გამოსა ამხელ ლაპარაკი. უფ.  
 ემინი დაუმატებს წინა თქმულსა, რომ ქსენოფონტი მოი-  
 ხსენებსა ფაზის მდინარეს, რომელიცა ჭრწყამს სომხითი  
 საო (3). ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს,  
 არამედ ფაზსა. ფაზისის მდინარე სხვა არის და ფა-  
 ზისა სხვა. აწეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ  
 ფაზად ადგილის გამო ფაზიანი ან ბასიანი. კიპარტეს

(1) მოსეს სორენაჯის ისტორია რუსულად ნათარგმნი,  
 გვერდი 344.

(2) მოსეს სორენაჯის ღელისათვის სენ-მატეო 2 ც.  
 გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი ეგვიპტეობოდა. სო-  
 ქოთველარს ამავე ღელისათვის ეგვიპტეობოდა არცაჲნი, მკუმეთი  
 უგვიანეთი, სამცხეს აჭარა და სხვანი, რომელნიც მუდგებდნენ  
 ჭორბანის მხარეს და არა სომხითსა.

(3) წიგნი 4, თავი 6.

ქარტაშედ ახლაც ჭიანს ფაზინ სუ (ე. ი. ფაზის მდინარე), ევ არეზია, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიენმა დანიშნა მმართველად პონტოსთემისა არჩენი, ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს, <sup>(3)</sup> რომელ ვოლხიდა იწყების ღიზის მდინარეს შესართავიდან მზღვასში, ამ მდინარის მარჯვნივ ნაპირებისა ჭსტსოვრებენ მახელონები და გენიოხები, რომელთაც ზღინი სასელ ჭსდებს ჭანად გენიოხად, ამათა ჭყვანდათ მეფე ანხილასუსი <sup>(4)</sup>; სტილას უწოდებს ამ ადგილს კეხეირად (ქართველების ეკლესია და სომხების ეკლესია); ამის შემდგომ მდებარებდა ზღვის პირზედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერსკვი, შავშეთი და კლარჯეთი), კეუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს <sup>(5)</sup>; ზუდრეთის შემდგომი იყო ლახივა (ე. ი. აწინდელი გურია.) აქ მეფობდა მეფასი.

<sup>(3)</sup> გვერდი 55 გოფმანისაგან გამოცემული.

<sup>(4)</sup> ეს ადგილი აწ არის ლახისუცანი.

<sup>(5)</sup> ფარსმან III იყო თანა მედროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დიდი პატივი ხსენებულის იმპერატორისაგან და სახუქრად ებოძა 500 აღჭურვილი მხედარი კაცი და მისცა ნება მსხვერპლის შეწირვისა კაპაიჯოლიაში. იმპერატორმა აღუძარათ ბელონის ტაძარში ცხენოსანი ანდამა. ნახე ბიოგრაფიულს ლექსიკონში სტავროს მარტენის მიჯრიდაც III.

ამის უკან იყო ახალი (აწინდელი სამეგრელო). ამ  
მეუობდა იულიანოსი: ამას მოსდევდა ახაზგია (აფხა-  
სეთი). მეუთ იყო რესმაგი, და დასასრულ სანიგარი,  
(ჯიქოი), სადაცა მეუობდა სპადაგას; მუქვესა საუკუნეში  
როგორცა ქსწერს სომეხთ ისტორიკოსი მოსე ხორენა-  
ცი თავის ქვეყნების აღწერაში კოლხიდა განიყოებოდა  
თან თქმად: მაგნიკიდი, აკრიუგა, გაზივი და ჭანივი ან  
ხასტიკი.

უფალი სენ მარტენი (ტ. 2, გვერდი 388, შენიშ-  
ნულობა 65), გვაუწყებს, რომელ მებგვიდი არის  
პტოლომეას მანრალი ან აწინდელი სამეგრელო;  
აკრიუგა არის ეკრეკტიკა ზომპონიის მეფასი (წიგნი  
1, თავი 191) და პტოლომეას (წიგნი 5, თავი 10).  
აკრიუგა უფრო არგვეთია, აწინდელი იმერეთი,  
ვიდრელა ეკრეკტიკა. ეკრეკტიკა არის სცილასის ეკანი-  
ერი (აწ ლაზისტანი); გაზივი (ლაზისტანი, ე. ი.  
გურია და ნაწილი იმერეთისა); ჭანივი ან ხაღდა  
(აწ ჭანეთი, პონტოს სამეფო).

ძველს დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა,  
განიყოებოდა, როგორც ქსწერს ვახუშტი 5 საერის-  
თად: ეგრისი (სამეგრელო), მარგვეთი ან არგვეთი  
(იმერეთი), წუნდა და არტაანი (აწ სამცხე); ოძრხე  
(გურია); კლარჯეთი (აწ სპერი ან ისპირის სეობა და  
ტაო). პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლ-  
ხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა და შეიღგომ პონ-

ტოს სამეფოს დატყობისა იყო აქ სამი დაუმოკიდებელი  
ერთმან ერთისა სამთავრო: ლაზისტანი, სამცხე და ჭა-  
ნეთი. მორე საჩუგუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი,  
სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მესხეთე  
საჩუგუნეში იქმნა შოთის გიზანტიელთა და სპარსთა მი-  
ჯენი ბრძოლისა 472 წლიდან ვიდრე 562 წლამდის (1).  
სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსპეს  
ლაზის მეფობა, დაიმონეს იმერეთი, სამეგრელო, აფხა-  
ზეთი და მსხუგან ქართლი და კახეთი. ჭანეთი იყო  
თემი პირველად რომისა და შემდგომ გიზანტიის იმპე-  
რიისა ვიდრე 1202 წლამდე; ამ წელს ალექსი კომნენძმა  
შეწევინათ თამარ მეფისა დაიპყრა ტრაპიზონი და იწო-  
და მეფედ ივერთა და ჭანთა; ამისი შემკვიდრენი ჰყოლობ-  
დენ ტრაპიზონში, ვიდრე დაპყრობამდე რსმალთა  
1464 წლამდის.

III. ძველი და ახალი მკვიდრი მოსახლენი პონ-  
ტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერ-  
თან და იგივეობა იმათის ენისა.

პირველ უწყებასა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდ-  
რობდნენ პონტოს სამეფოში და კოლხიდას, კჭსცნობთ  
ჩვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სასკლსა ქვეშე

(1) მატიანე სტრუბოვარისა მეოთხე ტომი ლაზია.

ახაბაზის; ე. ი. უკან დაბრუნება მათი ხათასის ბერძენთა მხედრობა. ქსენოფონტი ჭესტსოვრება 200 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამორჩა მთლად ჟერ კოლხიდის ადგილები და მასუკან ჰონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მოსახლენი და ადგილები დაწვლილებით და გასაოცებლის სისწორით. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხალხოდ განამოყარებენ მის უწყებათა; ამისთვის ვრცხე სწოროდ, რაც შეესების ხაზითა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო. ქსენოფონტი მოუთხრობს: „ჩვენ რომ გავიარეთ სათავე ტიგრის მდინარისა, სპის ახმით, მიჰედით თელქოას (1) მდინარის ნაპირსა, სადაცა სასლახურს სომქსნი, ყმანი ტიბიზაზისა, მთავრისა ფაზიანთა და ჭესპეტიტა, (2) რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიბრძობდა ომსა. ჩვენ რომ დაგუხანდოვდით ბაბა-რობთა შექმინდათ და გაიქცენ. ამითი გაგვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმიც სიცივემ და თოვლმა ძალიან შეგვაწუხა, გავედით ეფრატის მდინარესა და მივედით ფაზის მდინარის ნაპირსა (3)“

(1) თელქოას მდ. ერთვის ეფრატსა, ნახე ცემსიეს კარტები.

(2) ფაზიანი ქართველთა ბასიანი, ჭესპეტიტი ქართველთა ისპირის ხეობა.

(3) ფაზის მდ. აქ არქსის მდინარესა, რომელსაც დასაბამი აქვს ბასიანში და არს ჭიოროხი, მისთვის, რომ ამ მდინარეს რომ გავიდა, შევიდა ცაოის ქვეყანაში, სადაც ჭიოროხი.

სადაცა მრე ვეჭმენით ხალებთა, ტაოელთა და თუ-  
ზიასელებთა; ამის შემდგომ შევედით ქვეყანასა ტაო-  
ელთა და მასუკან ხალებთა. ხალებები არიან შემქმნე-  
ლები და უშიშარნი ომისა, ტანზედ აცვიანთ  
მოკლე გურტაკი, წვივზედ შავიჭები, თავზედ ჭსუ-  
რავთ ზეჩი და საომრად სახმარხი იარაღნი აქესთ:  
ხანჯალი, შუბი და წელზედ ჭკიდიათ თოკები (1).  
ხალებები აყვანენ ჩასათყრებულნი მთებში და ძალიან  
გვაწვივებდნენ. გავედით რა ჭარბასის მდინარესა (2)  
მივედით ქალაქსა ღიმნიას. (3) ამ ქალაქის მოუ-  
რავმან მოკვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა  
ტიხის მთამდე (4); ამ მთის ქედისა და დავინახეთ  
მონტოს ზღვა და შეგვეჭმნა სიხარული, რიგიანად

(1) როგორც ახლანდელს გურულებსა.

(2) ჭარბასე არის ისპირი, ერთი ცოცხი ჭოროხის მდინა-  
რისა და არა არბანს, როგორც ჭკონებს ინგლისის მწერალი  
ანსელორტი და ვივიენ სენმარტენი, გვ. 321 ცომი I.

(3) ღიმნიას ქალაქი, აწ ჯიბილი და არა ჯინისი, რომ-  
ელიც მდებარეს მასლობელ არზრუმისა, რომელც ჭკონ-  
ებს აინსუარტი ან ვივიენ სენ მარტენი. ჯერ არზრუმს  
გაივლიან და მასუკან ტაოს ქვეყანაში შევლენ, აქ კი  
წინაუკუდმად არის, ჯერ ტაო გაუვლიათ და მასუკან არზრუმს  
მისულან. ქსენოფონტს უკეთ ჭკონდნია ეს ადგილები ვადრე  
განათლებულთ ევროპეელთა.

(4) ქართული სახელი ტიხა, ტიხის მთა აწ ჭარანტა-  
ში ნახე ტექსიუს კარტები.



დავსახუქრეთ ჩვენი ეტიკი და ვადვედით მაკრონე-  
ბის ქვეყანაში. მაკრონებსა სჭურველად ჭქონდათ:  
ხის ფარი, შუბი და იუვენ მოსილნი ნაბდებითა.  
ჩვენს მსკდრობაში იყო ერთი მეომარი ნათესავით  
მაკრონი<sup>1)</sup> რომელიც ვაკვზავნეთ მოსაჯამარაკებლად  
მაკრონებთან, რომ ჩვენი უვნებლად ვაკვიშონ და სავ-  
ზალი მოგვეცენ. მაკრონებმა სიხარულით აღსარულეს  
ჩვენი თხოვნა, მოგვეცეს სავზალი და გვიჩვენეს გზა.  
შეგვიყვანეს კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოშე-  
ნებული არის, და დაუხლოვდით ტრაპეზუნსა. ტრა-  
პეზუნის არის ქალაქი შავის ზღვის პირზედა, აშენე  
ბული მოვჭრეთა პერძეთაგან კოლხელების ქვეყა-  
ნაში ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათ მიგვიღეს,  
სულადს ვჭმოულობდით დრილებისაგან<sup>(2)</sup> და ვინც  
უძღური და დაჭრილი იყო ჩავსხით ნაკებში და ვავის-  
ტუმრეთ საბერძნეთში, სხვანი, ვისაც ღონე ჭქონდა  
შეგუდეგით გზასა ზღვის ნაპირზე და მივედით  
კერასქნს, ქალაქსა, რომელიც იყო დაარსებული  
კოლხიდაში. იქ დავისვენეთ რამთონივე ხანი; იქი-

---

(1) მაკრონები არიან სანი ან ჭანები. სტრაბონის წიგ-  
ნი 12. ამითი ჭხასს რომ ტაოელნი, ხალიბნი და ისპირის  
ხეველნი იუვენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა  
იტოდა ჭანური ენა, და არ იტოდა ქართული, რომელაჲსა-  
რავნა ქართველებთან.

(2) დრილები არიან ჭანელები ან სანები, როგორც ამტ-  
კიდებს არჩიენი, გვერდი 54, 55.

დამ გადაკედით მოსინაკათა ქვეყანაში. მოსინაკებს  
 მასინ ჭქანდათ ენთმანერთში ბრძოლას, ხუენ უშვე-  
 ლეთ ერთ მქობოლსა. მხარეს, მრე ვექმენით მო-  
 შირდაპირეთა. ავილეთ მათი ტახტის ქალაქი, სს-  
 დაცა კვხოვეთ შრავალი სანრვაგე. მოსინაკენი არიან  
 მოქერაონი, ტანადნი, ბრგენი, იღებენ ტანსა სხვისა  
 და სხვისა იუერითა და განსცხრებთან ავხარცოპით  
 აშქარად, თავზედ ჭსურავსთ რგინის ზუჩებო, ტან-  
 ზედ აცვიანთ მოკლე ვაბა, საომარი იარაღი აქვსთ:  
 ხის თარი, ხელ-მუბა და რეპირი ნაჯახი. მოსი-  
 ნაკების შემდგომ ზღვის პირზედ ჭსცხოვრებენ  
 ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ  
 ქალაქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის  
 ვაკე და მდიდარი ნაყოფიერებითა,“ და სხვანი.

პირველი ხალხი, რომელიც მოისსენება შემოხსენე-  
 ბულს განსილვაში, არის თაზიანი, ქართველთა ბასიანელი.  
 ბასიანსა, როგორც ჭსჩანს ქსენოფონტის აღწერისაგან,  
 ჭრწყავს მდინარე არეზი, რომელიც ადგილის გამო ისახე-  
 ლებოდა, აწცა ისახელების თაზის მდინარედ (თასინ სუ-  
 რსმალთა). მცხოვრებნი ბასიანისა ან თაზიანნი ქსენო-  
 ფონტისა (1) არ ეკუთნებოდენ ნათესაობით არცა სსქარ-  
 თველს ხალხთა, არცა სომხისა(2) და ღეროდოტის დროს

(1) წიგნი 4 §. 6.

(2) სტრავ. წიგნი 12 თავი I. § 1.

იწოდებოდნენ ალარდიანად (4). ვახუშტი თავის საქარ-  
თველოს აღწერაში ჭსწერს, რომ ეს ადგილი წინაპირვე-  
ლად ეჭირათ სომეხთა, მათ შემდგომ დაიმონეს ბაგრა-  
ტიონთა და შერაერთეს სამცხესა და მუნიდგან ეკუთნ-  
ვის საქართველოს (5). აწ ბასიანი შეადგენს არზრუმის  
ქვეყანას.

მეორე ხალხი ხსენებულა ქსენოფონტესაგან არიან  
ტაოხნი ე. ი. ტაოელები, ან ტაოს მცხოვრებნი (6). ტაო,  
წინობელი საქართველოს თუმი, აწცა მდებარებს მარცხნივ ნა-  
პირსაა ჭოროხის მდინარისა, გარნა მარჯვნივ ნაპირზედ  
იყო არტანუჯის საერისთავო უბირველესი ქალაქი ტაოში  
იყო და აწცა არის რაჭთისი; ტაოსი ჭრწყამდა თორთო-  
მის მდინარე ტატი ისპირის მდინარისა. სამსდგრად  
ჭქონდა ჩრდილოეთით მთები, რომელებც შეუდგებიან  
ისპირის ხეობას დი სამხრეთით ირაჯლუს მთა (აწ ვარგა  
ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჭყოფდა ტაოს  
ბაზიანისაგან. აქ სათანადო არის შენიშნვა რომელ ვი-

(4) ლეროდი. წიგნი 3 § 90 94.

(5) ვახუშტისა გამრც. უფ. ბროსეტიისაგან გვ 120.

(6) ქსენ. წიგნი 4 § 7.

პატრის ქართველ ჭოროხს სახელს ჭსდებენ ისპირის  
ხეობად, და სამდვილს ჭოროხსა თავასუდ და ოლთისსუდ,  
წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა (1).  
მას ზევით მდებარედა სპერს ქართველთა მწერალთა  
ისპირის ხეობა; ტაო და სპერს შეადგენდნენ კლარჯეთის  
საერისთოსა. (2)

აწინდელთა სომხების მწერალთა ჭკონიათ, რომ  
ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერს ეკუთვნოდათ მათ  
და იუვენს მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტეუილია,  
ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგ-  
სა (3). აქ არ იყო სომხობა, ეს იყო სამდვილი საქარ-

(1) ვახუშტის ქართა და აღწერა, გვ. 120. ისპირის  
მდინარეს ქსელოფონტი ასხენებს ჭართასად, ნახე ზევით  
შენიშნულთა.

(2) სპერს, ან ისპირი ცნობილიყო ძველთა მწერალ-  
თაგანცა; ღეროდოტე უწოდებს ჭესპერად, ან სასპირად.

(3) მასე ხორენაცის ღელრათუთა, სენ-მარტენის ნა-  
თარგმნი. ტ. 2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს გწოდებს  
კესარდი; ვარდანიის გეოგრაფია სენ-მარტენის ნათარგმნი  
გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს, რომ დაიკვი, ე. ი.  
ტაო, ეკუთვნის იბერიას და მთუდის ისპირის  
მდინარე.

თველთ, სასჯელ-ედებოდა ზემო ქართლი და არა სომხითი. აწინ იწოდების რსმალოთაგან გურჯისტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყრიათ ქართული ენა.

აქ გამიხსენებენ ზირკულად ბაგრატიონები, ეს იყო მათი სამშობლომამული. სომხებსა ჭკონიათ, რომ რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული და ადგილები იქ სულ სომხობა იყო, — ამასუდ მალანა ჭსტოებიან: ჯერ თვით ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები. მოსე სოკრენაცი მოუთხრობს რომ „შაბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მთავრელობას ქვეშე ვადარშაგისა სომხთა მეფისა, რომელმან სამსახურობისათვის უბოძა ერისთობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაშარაკებენ სომხურად (1)“. დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტალი, სპერი, არტანუჯი, და სხვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები და არცა ჭრწმენდათ სომხების სარწმუნოება მოსე სოკრენაცი მრავალჯერ განამოცრებს. ჩვენი ცხოვრება მოუთხრობს რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალნი დაკითწინასწარ-მეტყველისა და მეფისა მოვიდნენ IV საუკუნე-

(1) მოსე სოკრენაცი ემინის ჩათარგმნი გვერდი 79.

ში (2) ეკლესიად და სათელ-ილეს ხელფათა წაქბლ დედოფ-  
ლისათა (3). ჭეშმამარტად შირქული ბინადრება ბაგ-  
წატონთა ამ ადგილებშია და არა სომხითში, ეს იყო,  
როგორც კვსთქვით, მათი სამშობლო ქვეყანა. შვიდგომ  
ქართლისა და კასეთის დახურობისა შრახთაგან ქართვე-  
ლობა განმდებარდა ამ ადგილებში. მეშვიდე საუკუნემ  
ქართველებმა, დავით გარეჯის უდაბნოს მაგიერად, აქ  
დააფუძნეს რაფთისის მონასტერიც თავი და დასაბამი  
სამღვთო და საეროთა სწავლათა, აქ განკვტეულდა, წი-  
ხადმდეც მანჭადიანობისა, ქრისტიანობის საწმუნოება,  
ასე რომ IX საუკუნეში აქ იყო 31 სამღვდელო მთავრობა  
საყდარი ან ეპარხიაზ მანყურელი (ანყურში); გუმურ-  
დელი (გუმურდლისა ან ჯაკასეთისა); ბმსნელი (ან სპე-  
რისა); ანხელა (ანჭარისა); მტბეკარი (ტბეთისა ან შავ-  
შეთისა); წურწყამელი (წურწყამისა); წყაროსთველისა (თო-  
სოხუდურეთისა); ვალაშკერთელი, ანუღი, კარელი (კარი  
და რაფთისი); ბანელი (ტაოსკარი და თანასკერტი); და-  
დაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა ბაიბერთის

(2) უფ. ბრახსეტის ქართლის ცხოვრება.

(3) ეკლესია არის ეკესეიჩი სცილასისისა, აწ დახინსტა-  
ნი და არა აქცილინა, როგორც მოუთხრობს უფ. ს. მარტენი.

ახლას აშენებულნი იყო სასულიერო მონასტრები ეს იყო  
 სამშობლო ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწკრავლთა, წმინ-  
 დათა მამათა იოანესი, კვთვიძისა, გიორგი მთაწმინდისა,  
 გიორგი თათისკელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც  
 სულ ახლად გვითარგმნეს სამღვთო წერილები. აქ აღმკვ-  
 კრისთავი თორნიკი, აღმაშენებელი დიდის ივერის მონ-  
 ნასტრისა ათონის მთაზედ, აქ გაძახნდნენ უწარხისებულეს-  
 თა ამბავთა მწკრავნი და მოძაირენი, ვითარ: მოთარგუნ-  
 თველი, სატვის თმოგველი, ახლელ მესხია, შავთელი და  
 სსჯანი.

მესამე ხალხი იუკუნ ხალიბნი. ქსენოფონტი ორჯულ  
 მოიხსენებს ამ ხალხს პირველად, ვითარცა მცხოვრებთა  
 ცოლთა შემდგომი, ისპირზედ, და მეორედ შავის ზღვის  
 პირზედ მასჯობელ კერასენის ქალაქისა. სტრაბონი ჭკო-  
 ნებს რომ ხალიბები ის ხალხნი ყრიან, რომელთაც უძი-  
 რას (1) სასელქსლებს ჭალიზონად, ან ლაზნიელად (2)  
 აქ მოსულან ადგილიდამ ხალიბი, სადაც იპოვება კატ-

(1) სტრაბონი წიგნი 12, თავი ორი, § 19 და 21;  
 ილიადასტისი 856, 857.

(2) ე. ი. მცხოვრებნი ჭალიზის (კიზილკმაკი) ან  
 ლაზნის მდინარის ნაპირზედ. სტრაბ. მუნგე.

ხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს (1), რომელ  
ჭაღიზონები აწ აღაზნელები იუვენ აქ მოსულნი და  
დასასლესუანი თერმადონის მდინარის პირზედ, ტრეა-  
დის ბრძოლის უწინ. უფ. ღუბოა (2) დაწმუნებით ამ-  
ბობს, რომ ხაღიბები ან ჭაღისონები, ან აღაზნელები  
ჭსტსოვრებდნენ წინაპირველად აღაზნის მდინარის ნა-  
პირზედ კასეთში. ეს აზრი დასაჯერებელია პირველად  
ამიტომ რომ ძველი მწერადნი, მაგალ. სტილას კორი-  
ანდელი (3) და პლინი (4) ჭსწერენ, რომ ხაღიბები მო-  
სასლესდნენ როგორც აქ პონტოს სამეფოში, ისე  
ქართლში, — და ამითი ჭხანს რომ იუვენ ერთი და იგივე  
ხაღნი. მეორე, — მცირეს აზიაში აწცა იპოვების მრავალ-  
ნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც  
ისილებისან საქართველოშია, მაგალ. ქიზიკი ქალაქი  
მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედ და ქიზიუი, მდე-  
ბარე კასეთში; ქუთაის ქალაქი, მდებარე ფარსაკის მდი-

(1) მცირე აზიის აღწერა, ტ. 1. გვერ. 250, 251.

(2) მოგზაურობა ტომ. 4, გვერ. 133, 139.

(3) ღუბუას ძველი ქარტები ატლასში

(4) წიგნი თავი 6, 10.



ნარის სათავეზედ, და ქუთაისი რეკეთისა; მდინარე ენ-  
გური რომელსედაცა ჰსდგას ქალაქი ანგორა ან ენგური  
და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის  
ზღვის პირზედ მასლობელ ჰალისის ან კიზილყრმაკის  
შესართავისა და ონი იმერეთში; ჰალიზი ან ალაზანი და  
ალაზანი კახეთში და სსვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონნი,  
სტრაბონი ამბობს რომელ მაკრონები იმის დროს იწო-  
დებოდნენ სანად (1), რომელთაც პლინი (2) სახელ ჰსდებს  
სანად გენიოსად, არიან ტანად (3) და კიზანტის მწე-  
რალნი ტცანად (4). უკუვად ვიცით რომ ბერძნებს არა  
აქვთ ასე ჭ. ამისთვის ჭ მაგიერად ზოგს უხმარია „ს“,  
ზოგს „ტ“, ზოგს „ტც“. სანი ან ტანი ან ტცანი არის  
ქართულებისა ჭანი (5). ღეროდოტიც მოიხსენებს მაკ-  
რონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჰქონდათ ჩვეულება

- 
- (1) სტრაბ. წიგნი 12, თავი 2, §. 19.
  - (2) წიგნი 6, თავი 3.
  - (3) არიენის აღწერა შავის ზღვისა, გამოდ. გოთმანისა.
  - (4) სტრიტერის მატთანე ტ. 4 გვ. 220, 225, 226.
  - (5) ჭანი ქართულად ნიშნავს გამხდარსა, ჭნავსა.

წინადაცუეთისა, როგორც კოლხიდელებსა (1), სცლესჲსი უწოდებს მკრონებს მკროცუთაღი (2). მკრონები ხას-  
ლობდნენ ჭოროხის მდინარის მარცხნივ, ნაპირზედ, სადაც  
ესდჲ ლაზები დგანან (3), და მარჯვნივ ნაპირი ეჭირათ  
ივერეთთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთან-  
ხმება. როდისაც ქსენოფონტი ჭავჭავასის მდინარეს გავიდა  
(ისპირის ხეობა), და გადაიარა ნაჭილობუფის მთები, რომ-  
ელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისაგან, მაშინ  
შევიდა მკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახით მდებარ-  
ებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მკრონებს,  
ე. ი. ჭანებს, რომელნიც ჭავჭავადნენ მთებში, უწოდებს  
სეპტაკომედად (ე. ი. შვიდნი კომეი), და დაუმატებს,  
რომ სეპტაკომეტებს მკედად ერქვათ მოსინაკები ე. ი.  
კომეებზედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი (4); ამისაგან  
ჭსჩანს რომ მოსინაკები და მკრონები ერთი და იგივე  
ხალხია, ჭანად უწოდებულნი. ამას გარდა სტრაბონი გვა-

(1) ლეროდ. წიგნი 2, § 104.

(2) დუბუას ძველი ქარტები ატლასში. მკროცუთაღი,  
ბერძნ. გრძელ თავიანი.

(3) სტრატონის მართანე 4 ტ. გვ. 395.

(4) წიგნი 12, თავი 2, §. 19.

უწიებს რომელ სანებმა (ჭანელებმა) მოსრეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიდრიდატის დიდის ომის დროს შირის შირ რომაელთა. იუსტინიანე იმპერატორის დროს შევიდნენ მოჩხილებას ქვეშე ვიზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის საწმუნოება.

მესუთე ხალხა იყვნენ ტიბარქინი, სახლობდნენ ვახუ ადგილებზედ, გარემოს თერძეს მდინარისა, მახლობულ კოტიორის (აწ ორდუ) ქალაქისა, შუიძეუშაგებდნენ მიწასა და ჭუგანდათ მრავალი საქონელი, წესთ და ჩუეულობა ჭქონდათ მსგავსად ივერიელთა (1). ტიბარქინი, ხალაბები სახლობდნენ ლოგორც აქა, ისე სამცხეში და ქართლში (2). სამღვთო წერილში და გეროდოტის აღწერაში მოხსნი და ტიბარქინი ან თობალი ერთად მოიხსენებიათ, ვითარცა ერთად ერთი ხალხი (3). ვიზანტიის მწერლები არ მოიხსენებენ ამ ხალხსა, რადგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანელებს.

ამ ხალხთა განხილვისაგან ჭსჩანს, რომელ ტაყუნნი და ისპირის სეგელნი, სომეხთა სპერა, — შეადგენდნენ კასრჯეთის საერისთაოსსა, ეკუთვნოდნენ ნათესაობით საქართველოს ხალხსა, იწოდებოდნენ, ახლაც იწოდებიან

(1) სტრავ. ტ. 1 გვერდი 484.

(2) გეროდ. წიგნი 3. § 94; სტრიდაქს კორიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

(3) დაზად. მესაქმეს წიგნი თავი 10 მუხლი 2; ებრაელის წინასწარ-მეტყველება თავი 27, მუხლი 13—21; კვალად 32—26; 38—2.

მესხად. კლარჯეთის საერისთოს აწცა. ოსმალინი უხმობენ გურჯისტანად. ე. ი. საქართველოდ; ხალიბები, სტრაბონის დროს იწოდებოდნენ ხაღდად და აწ ქაღდეკულად. ხალიბი ან ხაღდადი და ჭანი ერთი და იგივე ხაღსია. ესე ჭსხანს, შიჩველად ვიზანტის მწერალთაგან, რომელნიც გვაჭყმძარიტებენ რომელ ჭანნი იყვნენ ხაღდადის მოსახლეები (1); მორედ: მოსე სორენაცი, რომელიც მოგვითხრობს, რომელ რომის იმპერატორი ტატიტი იყო მოკვდინებული ჭანეთში ან გასტკაში, ე. ი. ხაღდადში (2); აგრეთვე სომეხთა მწერალი ეგიპე ამტვიცებს ზემოხსენებულსა (3). მესამედ: ძველნი მწერალნი, მეტადრე ქსენოფონტი (4) და აჩიენი (5), მთელს ზღვის ნაპირსა, რომელიც ეჭირა ზოსტოს სამეფოსა, უწოდებენ კოლსიდად. რომელცა ჭსხანს მოსეს სორენაციის დოღრათიისაგან, კოლსიდა ან ეგერი განიყოფებოდა ოთხ თემად: მაგნედიანი, პტოლომეას მანრალია ან აწინდელი საძეგრელო; ახრიუგა აწ არგკეთი ან იმერეთი; ღაზივი აწ გურია და ჭანივი აწ ჭანივა ან ტრაპეზუნის პაშალივი (6). ევროპიელნი ჭანებს უწოდებენ

(1) სტროგიონის მატიანე ხალხთა ც. 4. გვ. 229.

(2) მოსე სორენ. თარგმანი ემიხისა, გვერდი 127.

(3) რუსული სათარგმნი პანსიევისა გვ. 127, ფრანციც. სათარგმნი დულორესი, გვერ. 209.

(4) გამორცემ. გოფმანისა გვერდი 5.

(5) ქსენოფონტი წიგნი 4. 5 და 6.

(6) ს. მარტენას სათარგმნი ც. 2 გვ. 357.

დებენ ლაზებად. ლაზები, როგორც ჰსწერს პლინი, აჩიენი და საკუთრად ვიზანტიის მწყობლები, ჰსცხვრებდნენ აწინდელს გურიაში. ლაზებმა მეოთხე და მესამე საუკუნეში დაიპყრეს იმერეთი და სამეგრელო და შეადგინეს ერთი სამეფო, რომელსაც ერთის მხრით ვიზანტიელები და მეორეს მხრით სპარსნი ერთმანერთს ეცილებოდნენ და ჰქონდათ ას წლამდი ბრძოლა. ლაზისტანს სამხრეთის სამზღვრის ნაპირზედ ჰქონდა პეტრეს ციხე (ქაჯთა ციხე ქართველთა) ქობულეთში (1). ლაზი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მეგობრებს ან ავასაკსა.

ხალხის სახელები, რომელნიც ამის ზევით მოვიხსენეთ, აჩიან ან ქართულნი: ვითარ ისპირელი, ტაოელი, ჭანი, მესხი, — ან ბერძნულნი, ვითარცა ხალიბი, ხალდი, მოსინაკი, მაკრონი, მაკროციფალი, ხეპტაკომიტი, ტიბარენი ან თობალი.

ქართულნი სახელები აქამომდე დაჩხენ შეუცვლელად, გარნა ბერძნულნი დროთა ვითარებისაგან განჰქარდნენ.

მთელი აწინდელი ტრავპესუნდის ვამალიკი დასახლებულია ჭანუბითა.

აქა ჯერ არს შენიშნავად, რომელ აწცა მრავალნი სახელნი მათათა, მდინარეთა, ქალაქთა, დაბათა ტრავპესუნის ვამალიკში აჩიან ქართულნი, ვითარცა: ნაჭილობევის მთები საშუალ პონტოსს სამეფოსსა, თემი ყომურსა

(1) აჩიენის გამოც. გოფმანისა გვ. 55; მატიაზე სალსთა სტრიჯიჩისა ტომი 4 გვ. 224.

(ყამურა) ტრეპეზონის დაბლა; გომიში (კამბუჩი მეგრულად) სადაც ვეცელის ქანია; ქაჯთ კარი (ძთა), გაცურის ძთა; ჭლა, ძთა ქალაქის ვეცასენის მასლობლა; ნებანი ძთა ბაფრას ქალაქის ახლას; ქურდბელი, ძთა ქალაქის ნიკსარის მასლობელ; თავშავის ძთა, მდინარის კიბილ-ეშმაკის მასლობელ; ჭაღისის მდინარე ან ალაშანი ირისეს მდინარე და სხვანი მრავალნი.

შემოსსენებულის განხილვისაგან ჭიანს რომ ყოფილს შერთოს სამეფოში ან აწინდელს ტრეპეზონის საფაშოში მკვიდრნი მოსახლენი იყვნენ ჭანენი, რომელთაც ენა სრულიად ემგზავსება მეგრულთ ენასა. დასამტკიცებლად ჩვენისა აზრისა, განვიხილოთ ღრამმატი-გული მწეობრი ორივე ენისა. ვალად ვრატც აქ გამოცხადებასა რომ ჭანურის ენის ღრამმატიკის კანონები გამომიგზავნა მე ზატივცემულმან თავადმა გრიგოლ დავითისძემ გურიელმა, რომელმან არ ღიდა შრომა და თავს დადებით და გულმოდგინებით მისცა წარმართება აღსასწავლად ჩვენისა წინადადებისა.

ნაცვალ სასელი ყოველს ენაში არის უპირველესი სიტყვა, რომელიც განჭკარგავს როგორც სიტყვის სასელსა ისე ზმნასა. ქართულს ენასა აქვს ორ გვარი პირველი ნაცვალ-სასელი, პირველი კერძობითი, ვითარცა: მე, შენ, ის, იგი, მან, ჩვენ, თქვენ, იგინი, ისინი, ძთა, — და რთულნი ზმნათა თანა: ვჭ, ვა, ვი, ვუ, ვე, მ, მა, მ. პირველსა და მეორეს პირთა კერძობითა ნაცვალ სასელთა არა აქვსთ ვახლადობა. ჩემი, რომელიც მოუღიასთ ჩვენის ღრამმატიკის მწერალთა ვითარცა ნათესაობითი

ბრუნვა, არ იხმარება როგორც ნათესაობითი ბრუნვა, არამედ ვითარცა სასქელობითი ბრუნვა, რომლისა ნათესაობითი არის ჩემისა, მიც. ჩემსა, მოქმ. ჩემითა და სს. აგრეთვე შენი. არ არის პირობითი ნაცვალ სასქელი, არამედ მოგებითი. ჩვენი ენა შეადგენს ერთსა და იგივე ინდოევროპიულის ენებისას, ძალიან ძველია და შეცვლილი დროთა ვითარებისაგან. სწავსული და სომხური არიან უახლესნი ვიდრე ქართული და ამის გამო ცოტად შეცვლილნი არიან. თალიშინის ენაში<sup>(1)</sup>, რომელიც მონათესავეა სწავსულის უნისა, გვხვავებთ პირიქის ნაცვალს სასქელსა მე; ეს ნაცვალ სასქელი თქმულს ენაში არის აგრეთვე შეუცვლელი და არა მქონი ბოლოს ცვლილებისა; დასახნიშვალად ნათესაობითის ბრუნვისა თალიშნელები უმატებენ თანდებულსა ჩე, რომლითაც შესდგება ჩემე და ჩემი; მსგავსადვე შესდგენად მიცემითის ბრუნვისა თავს უსმენ სვას თანდებულსა, რომელსა ბი და შეადგენენ ბიმე. აგრეთვე ფრანციულს ენაში პირიქის ნაცვალ სასქელსა, სრულიად მსგავსისა ქართულის, რომელსა მე(me). მოა(moi) არ შეიცვლის ბოლოსა, და დასახნიშვალად ნათესაობითისა ან მიცემითის ბრუნვისა ხმარობენ სვას და სვასთა თანდებულთა. ნაცვალ სასქელი ჩემზედ, ჩემთან, მიიღებს მნიშვნელობასა ნათესაობითის ან მიცემითის ბრუნვისას; ნაცვალ სასქელი მესამეს პირისა ის, ეს, ეგ, იგი, მრავლისინი, ეგანი, იგინი, აგრეთვე არიან შეუცვლელნი, გარსა ნაცვალსახელი მან, იმან (შემოკლებით იმ), არის ცვლადი: ნათ. მის, მიცემ. მას; მრავლობ. მათ. აგრეთვე მეგრულს

(1) Записки Кавк. Общества кн. 3-тая.

და ჭანურს ენაში თქმულნი ნაცვალსახელნი არიან უცვა-  
 ლებელნი: მე მეგრ. და ჭანურ. მა, ჩვენ მეგრ. და ჭან.  
 ჩქუ; შენ, მეგრ. და ჭანურ. სი; მრავალ. თქვენ მეგრ.  
 და ჭანურ. თქვა. მესამე პირი იმ, იმან, მეგრ. და ჭან.  
 ჰუმ, ნათესაობ. მისი, მეგრ. და ჭანურ. ჰემიში; მიცემ.  
 იმას, მეგრ. და ჭანურ. ჰიმუშა; ისინი, მეგრ. და ჭანურ.  
 ჰიმი; ნათეს. და მიცემ. იმათ, მეგრ. და ჭანურ. ჰინისა;  
 მოგებითი ნაცვალსახელი ჩემი, მეგრ. და ჭანურ. ჩქიმი;  
 მრავალ. ჩვენი, მეგრ. და ჭანურ. ჩქინი; შენი, მეგრ. და  
 ჭანურ. სქანი, თქვენი, თქვანი; იმისი, ან უმისი მეგრ.  
 და ჭანურ. ემუში; რა, მეგრ. და ჭანურ. მუ და სხვანი.

რთულნი ნაცვალ სახელნი, რომელნიც მოზავებიან  
 ზმნათა მაჰირიფუნებლად, იხმარებიან ან მარტივად, მაგ. ვჭ,  
 ვა (ვჭსწერ, ვზომი, ვაური); ან შეერთებით, რადესაც ორნი  
 ნაცვალ სახელნი შეერთდებიან, მაგალ. ვი, ვუ (ვიწერ,  
 ვიზომი, ვუწერ, ვუზომი); ვი შედგების ორის ნაცვალ სახე-  
 ლისაგან ერთი ვ, მეორე ი მაგალ. ვიშენებ,  
 შენებას აღვასრულებ ჩემთვის, ჩემს სასარგებლოდ; აგრე-  
 თვე ვუ, შედგების ორის ნაცვალ სახელისაგან ვ პირვე-  
 ლს პირისა და უ მესამე პირისა, მაგალ. ვუშენებ. ე. ი.  
 სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ. ნაცვალ სახელი უ იზო-  
 გების სპარსულს ენაშიაც, აქედამ ჭსწარმოებს რუსული  
 ОНЪ, და ფრანციული ON; ამ გვარი ნაცვალ სახელები  
 იზოგებიან მეგრულში და ჭანურს ენაში. მაგალ. ვჭსწერ,  
 მეგრ. და ჭანურ. ვჭჭარუ; ვიწერ, მეგრ. და ჭანურ., ვი-  
 ჭარუ; ვუწერ, მეგრ. და ჭანურ. ვუჭარუ.

მიმოსვრას ზმნისა წერა, მეგრ. და ჭანურ. ქარუა



ა წ მ დ გ ო მ ი :

ქართული: ვჭწწერ, ჭწწერ, ჭწწერს; ვჭწწერეთ, ჭწწერეთ, ჭწწერენ.

მეგრული: ვჭარუ, ჭარუ, ჭარუნს; ვჭარუნთ, ჭარუნთ, ჭარუნსა.

ჭანური: ვჭარუმ, ჭარუმ, ჭარუმს; ვჭარუმთ, ჭარუმთ, ჭარუნსა.

ბ რ უ ლ ი :

ქართული: ვჭბწერე, ჭბწერე, ჭბწერას; ვჭბწერეთ, ჭბწერეთ, ჭბწერეს.

მეგრული. ვჭარბ, ჭარბი, ჭარბუ; ვჭარბით, ჭარბით, ჭარბეს.

ჭანური. ვჭარბი, ჭარბი, ჭარბუ; ვჭარბით, ჭარბობით, ჭარბეს.

მიძიხვარს ზმნისა ვარ, მეგრულ. და ჭანურ. ვირე.

ბ წ მ დ გ ო მ ი :

ქართული. ვარ, ხარ, არს; ვართ, ხართ, არიან.

მეგრული. ვარე, არეჲ, არე; ვარეთ, არეთ, არენს.

ჭანური. | ვარე, არე, არუ; ვარეთ, არეთ, არენს  
(თფ. გურგულის გრამატიკა.)

ჭანური. | ბარეჲ, არეჲ, არენ; ბარეთ, არეთ, არენსა.  
(ლომსენის ლრამატიკა.)

ბ უ ლ ი :

ქართული: ვიუყავ, იუყავ, იუყავს; ვიუყავით, იუყავით, იუყავნ.

მეგრული: ვარდი, არდი, არდუ; ვარდით, არდით, არდეს.

იარ ვარე, ხეი ხინი ლეთ ხეთ ხინი

ჭანურად: ქობოლტი,ობოლტი, —; ქობოლტით,ქობოლტით, ქობოლტეს.


ჭანკლადობა სასკლისა ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურად დაღ. წოფელ. ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურ. დაღ; ნათეს. ტყისა, მეგრ. ტყაში, ჭან. დაღიშ; მიცემ. ტყესა, მეგრ. ტყას, ჭან., დაღიშა; მოქმ. ტყითა, მეგრ. ტყათ, ჭანურნი, დაღითუ; მრავლ. წმ. ტყეები, მეგრ. ტყეფი, ჭანურად დაღეფე; ნათეს. ტყეებისა, მეგრ. ტყეეფის, დაღეფეში; მიცემ. ტყეებსა, მეგრ. ტყეფს, ჭანურნი, დაღეფეშა, მოქმ; ტყეებითა, მეგრ. ტყეფით; ჭან. დაღეფეთუ.

რიცხვითი სასკლნი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. მეგრული, — — ანთი, ყირი, სუმი, ოთხი, ხუთი, აშვი, ჭანური, — — ან, ყურ, სუმი, ოთხუ, ხუთ, აშ.

ქართული: შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი, ათასი. მეგრული, შქვითი, რუო, ხხოლო, ვითი, ოში, ათასი. ჭანური, შთვიდი, ორვო, ხხოლო, ვით, ოში, შილია.

ამ მტრე გაშინჯვითა ჭიანს, რომ ჭანურნი ენა ძალიან ემსგავსება მეგრულსა. დასასრულს ეს უნდა ვჭსთქვა, რომელ საქართველს ხალხი მკვიდრობდნენ და აწცა მოსახლენი ანიან, ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი, გურჯისტისა, აწინდელს ტრანკაუნის საფრანგეთი და უჭირაკთ შავი ზღვის ნაპირი კოდორის შესართავი დამ კიდრე შესართავადმდე კიზილკმაკისა და იუვენქ მკელს დროში უპირველესნი ხალხნი, ჩინებულნი და ღიწხნი შესანიშნავად.

დავით ჩუბინოვი.



1877. 9. 2

17. 200

39

h 844